



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 659

თბილისი

„23“ 05 2019წ.

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N413 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ გამარჯვებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N413 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ ფარგლებში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აპრილის N499 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის 2019 წლის 08 მაისის N1 სხდომის ოქმისა და 2019 წლის 20 მაისის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 20 მაისის N600299 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის

დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N413 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის დაწყების თარიღად განისაზღვროს არაუადრეს 2019 წლის 01 ივნისისა;

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2019 წლის 25 მაისისა;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).



მიხეილ ბატიაშვილი

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N413 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ გამარჯვებული პროექტები

1. „კამერული ორკესტრის 6 კონცერტი რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში და ზემო სვანეთში“ - სსიპ „თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი“;
2. „პარალელური კლასი-შუაფხო“ - ააიპ - „ახალი კოლექტივი ხელოვნებისთვის“;
3. „ნიჭიერთა ათწლეულის ბავშვთა ორკესტრი მაღალმთიანი აჭარის ბავშვებისთვის“ - სსიპ - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“.